



ՀԱՅՈՒԹ

1971
օշանիս
N 3

8

პატი

მიმღები ცარისალი

8 მარტია, მოვიმლერით
გაღმა ტყეიდან მე და მზია,
— გაღმა ტყეში რა გინდოდათ?
— დავუკრიფეთ დედას ია.

ნახ. შავერო შაორშვაძეს



გუთის სალესავი

კრეატურული

ნახატები ზესას გეგმარისაში




11583

რა ახსოეს პაპას ყველაზე კარგად თავისი
ბავშვობიდან? რა და, პირველად რომ წილა-
ვანებს გუთანზე მეჩრედ.

როგორც ყველაზე პატარა, ყველაზე თვი-
ნიერი და გამწვი ხარებს ულელზე დასვეს.
როგორც ყველაზე ჭრიალა ხმის მქონე,
ამღრეს და ამღრეს ოროველა; ხოლო შუა-
ლეს, საქონელი რომ გამოუშვეს, თითო ჯა-
მი კორკოტი შექმაბს, თითო მოწაფება წყა-
ლი დალიეს კოკიდან და აქთ-იქით მიწვნენ
თვალის მოსატყუებლად. დაუძძა პაპას მო-
ხუცმა გუთნისძედამ მოკაჭჭებული თითო.

— მოდი აქ, შვილო, შენ ყველაზე ყოჩა-
ლი ხარ! — მისცა ერთი დიდი, მოგრძო ქვა და,
თავზე ხელი გადაუსვა, — აგრძ, ქვემოთ, მომლ



თელასთან რომ გუთნეულია გამოშვებული, ხომ ხედავ, ჩადი და ეს გუთნის სალესავი იმათ გუთნისდედას მიეცა, ნათხოვარი გვაქვს და სირცხვილია, დროშე რომ არ დაუბრუნოთ.

პაპა მარტლა ძალიან ყოჩალი ბიჭი იყო. შეიდო ის ქვა მხარზე და სულ სირბილ-სირბილით ჩაუტანა ამოლ თელასთან გამოშვებული გუთნეულის გუთნისდედას იმ გუთნისდედამ ქვა ჩამოართვა, გადაატრიალა, გადმოატრიალა, წაძინებული მეტრები გააღვიძა, იმათაც აჩვენა და ჰქითხა:

— განა ეს ჩვენი გუთნის სალესავიან? მეტრებმა ხელები გაასავსავეს, არა და არა.

მაშინ ის ქვა მხარზე შეუდო პაპას ამოლ თელასთან გამოშვებული გუთნეულის გუთნისდედამ და უთხრა:

— შენ, შვილო, გეტუნობა, კარგი ბიჭი ხარ, მაგრამ იმ ოქვენს წუწე გუთნისდედას ასე უთხარი, ეგვთები არ იყოს, ეს ჩემი სალესავი არ არის და არც მივიღებ, მე რაც მოგვიც, ის გამომიგზაუნე-თქო.

აუტანა პაპამ ის ქვა თავიანთ გუთნისდედას და დანაბარებიც გადასცა. გუთნისდედა შეწუბდა, თავის მეტრებს მოუხმო და გამოიკვითა:

— განა ეს სალესავი არ გვექნდა წამოლეული? ვასო, შენ არ გამოართვით? ვასომ კეთის ფხანა დაიწყო, დაირცხვინა:

— არა, ეგ არ არის. ის აგრე იქით, ძეძვის ძირში მაქვს შენახულიო.

წვიდა და უფრო დიდი ქვა მოიტანა.

— აი, წაულე და მიაშავე იმ არსაცხონებელსაო.

შეიღო პაპამ ის დიდი ქვაც მხარზე, არ იმჩნევს, რომ მძიმეა, გაირბინა რამდენიმე ნაბიჯი წელში გაღუნულმა და ატყადა უცებერთი სიცილ-ხარხარი. მიბრუნდა პაპა და რასა ხედავს: ზოგი მეხრე მიწწევე გორავს, ზოგს ორივე ხელით უჭირავს მუცელი, გუთნისდედა კი თავისი მოკაუჭებული თითით ეძახის:

— დააგდე, შვილო, ეგ ქვა და ამიდი აქ. დააგდო ის ქვა პაპამ და ავიდა ზევით.





ახარხარებული მეტევები გარს შემოეხვივნენ.
გუთნისდედამ მხარზე ხელი გადასდო და დაა-
რიგა:

— ძალიან ყოჩალი ბიჭი ხარ და დღეის
ამას იქით ცოტა ფხიზლად იყავი, უნდა იცო-
დე, რომ გუთანს სალესავით არ ლესავენო.

* * *

მეც მახსოვეს, ჩემს პატარაობას, მე და პაპა
რომ სოფულის სალაყოზე გავიღოდით, იქ
ერთი მთლად გათეთრებული, ჯოზზე დაყრ-
დნობილი მოხუცი მაშინვე ამას ჰქითხავდა
ხოლმე პაპას:

— ბაჭო, გიორგი, აპირებთ თუ არა შენა
და ის შენი წუწუკი გუთნისდედა ჩემი სალე-
სავის დაბრუნებას.

პაპაჩემიც, ის პაპაც და სხვა პაპებიც იცი-
ნოდნენ, თავებს აქანქალებდნენ, ჯოხებს აბა-
კუნებდნენ და ცრემლიან თვალებს ხელის
ზურგებით იწმენდდნენ.

— ეჭ, ნეტავ იმ დროს, ნეტავ იმ დროს,
არენა ძიო. — ამბობდა პაპა და თავზე მო-
ფერებით მისვამდა ხელს.




ქათა. პნუტი და გოჭი

მარი აბაშვილი

გადახვევია კატა თავის, კნუტს,
ტკბილად ძინავს და კრუტუნებს:
— კრუტ, კრუტ...
მიუახლოვდა გოჭი და:
— ღრუტ, ღრუტ...
კატამ ასწია თათი და:
— დუტ, დუტ!..

ნაბარი თამაზ ხემიშვილისა



ახალი ცრთი გიშისა

გიგა სახელიან გაიკარა

სოლომონ ღვარაძეს ავტორი

გიგა ერთი თქვენი ტოლი და თქვენნაირი ბიჭია, მაგრამ ისეთი საკირევლება ჩაიდინა, მთელი ფოლადის ქალაქი აალაპარაკა, — უხარიდათ, რომ თვითან ქლავში ასეთ ყოჩალი, მამაცი და საზრიან ბიჭი იზრდებოდა.

მაგრამ ვიდრე მის ამბავს მოგორუცხოდეთ, უნდა გაგანსესხოთ რა დიდი ქალაქია რუსთავი. ისეთი—

ვე მაღალი შენობები

დგას იქ, ისევე დაჭრიან

ტროლეიბუსები და მან-

ქანები, როგორც ყველა

დიდი ქალაქის ქუჩებში.

ოცნებე წლის წინათ

ქალაქის ადგილს ისეთი

ტრიალი მინდონი იყო.

კურდღლი რომ წამომ-

ხტარიყო, სირბილით და-

იქანცებოდა და თაგმე-

საფარს ვერსად ნახავდა.

აი, მაშინ რომ გამოჩინა

გიგას ის საკვირცე-

ლი საზრიანობა, ვის

გაუკირდებოდა, მაგრამ

დღევანდელ რუსთავში.

თუმცა სჯობს ყველაფე

რი თავიდან გიამზოთ.

ერთ დღეს გიგა მამი-

დასთან წაყვანან დედამ.

დილა იყო. ქალაქს ათო-

ვდა. ფრთხილად მისრია-

ლებლენენ მანქანები ქუ-

ჩებში და წყვილ ზოლს

სტოკებლენენ მდნარ თო-

ვლზე.

იარეს, იარეს, გადაია-

რეს ერთი ქუჩა, მეორე,

მესამე და, მიადგნენ

ქუჩისპირა დიდ სახლს.

ნახა ტები ზე გაინაპისა

ა ეიდნენ მესამე სართულზე, დარეკეს ზარი და,

გიგას დანახვაზე, გიყვარდეთ, მამიდამ გაიხარა.

— ბაზარში მივღივარ. — ეუბნება გიგას დედა

გიგას მამიდა.

— გიგა აქ იყოს, საღამოზე მე წამოკიყვან.

— ამბობს გახარებული მამიდა. აბა, რა გინდა სუ-

ლო და გულო, რაც კი სათამაშოები ჰქონდა,



რაც კი ტქბილი ნუგბარი ეგულებოდა, ყველა-
ფერი გაძმოალაგა მამიდამ. უიგამაც ითამაშა,
ითამაშა და გული რომ იჯერა:

— შინ მინდა! — უთხრა მამიდას.

ევედრება მამიდა, ეფერება: ცოტა ხანიც მაცა-
ლე, უთოობას მოვრჩიბი და წაგიყვანო, მაგრამ
საქმეში ხარ!

— შინ მინდა! — თავისას არ იშლის გიგა, —
ჩქარა, წაგიყვანე!

— გინდა, საკერავ მანქანას აგინდი და ატ-
როლე.

— არ მინდა.

— წამოდი უთოობაში მომეხმარე.

— არ მინდა.

— არც ტელევიზორი გინდა? — თვალები გაუ-
ბრშებინდა მამიდას, — აბა, წამოდი, რა გაჩერენ
ტელევიზორში!

მამიდამ ჩართო ტელევიზორი და ექრანზე გა-
მოჩენდა აფრიკის დილი სპილოები, მიიზღუდნე-
ბიან და მიარჩევენ გრძელ ხორთუმებს.

გიგა ტელევიზორს უყურებს. ტელევიზორის
ხმა იქაურობას აყრუებს, ისმის მდინარის რაკ-
რაკი, ალბათ სპილოები მდინარეზე გადადან.

რა დამჯერე ბიჭია გიგა, — ფიქრობს გიგას
მამიდა, — როგორი ცნობისმოვარეობით უყურებს
ტელევიზორს.

გიგას მამიდამ განელებული უთო ისევ ჩართო
და გიგას შეეხმიანა.

— გიგა.

არავინ აგონებს.

— ბიჭო, გიგა!

ჩამიჩუმი არ ისმის.

შეფიქრიანებული მამიდა მეორე ოთახში გა-
ვარდა, მაგრამ გიგა არც იქ იყო. მხოლოდ მისი
პალტო და ქუდი ეგდო ტახტზე. სახლის კარი
ლრიშოდ იყო დარჩენილი. მამიდა არც დაფიქ-
რებულა, პირდაპირ ქუჩაში გავარდა.

ეს უცხო ბიჭი შორ გზაზე იდგა, დაედევნენ და
გაჩერებს.

— ბიჭო, გისი ხარ?

— მამასი! — ამაყად უპასუხა გიგამ.

— რა პევია მამას?

— ვანო.

— რა გვარი ხარ?

— ბაზარი.

— სად მიდიხარ?

— შინ.

— მერე, სად არის შენი სახლი? გიგამ ამაზე ვეღარაფერი უპასუხა. ამასობაში უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. ერთმა თქვა, მილიციას უნდა ჩავაბაროთო.

საიდანღაც მიღიცილიც გაჩნდა, ხალხის გრო-
ვა გაავად და გიგა გამოეჭიმა:

— მოქალაქევ, თქვენი საბუთები?

გიგას, რა თქმა უნდა, საბუთები არ პერნა
და მაშინვე მიღიციაში წაგიყვანეს. ახლა იქ დაუ-



გიგა მიღიციაში

ამასობაში, ქალაქში ერთი აშბავი ხდებოდა.
დიდი თუ პატარა გაეკირვებული უყურებდა
მარტოდმარტო მიმავალ უქუდო და უპალტოი
პატარა ბიჭის. ერთ ხანს ეჭვთ უყურეს, იქნებ
აევე მეზობლად მიღისო, მაგრამ რაკი დაატყეს.

წყეს დაკითხვა, მაგრამ გვარისა და სახელის მეტი ვერაფერი გაიგეს.

— რამდენი წლისა ხარ, შვილო? — ეკითხდა გიგას ერთ ულვაშანი მილიციელი და ელიმება. — ხუთის.

— ყოჩაღ! შენ პერი, ნიკო, — გადასძახა მილიციელმა სხვა მილიციელს, — ახლავე გაიქცი და

ამ ბიჭს ტკბილეული მოართვი, მანამდე ჩვენ შემოია:

ზის გიგა მილიციის სამორიგეოში და უყურებს ლამაზქეულიან მილიციელებს, რომლებიც წამდაუწუმ შემორბიან და გარბიან.

«რა იქნება ასეთი ქუდი მეც მაჩქეონ! — ფიქრობს გიგა.

ძა მილიციელები კი ისევ გარბი-გამორბიან, ტკბილეულებზე რეკაცნ და ბასუბობენ. ცოტა ხნის შემდევ ის ულვაშიანი მილიციელი შემოვდა, დაუძხა სხვა მილიციელს, ლიმილით რაღაც უწურჩულა და თან პატარა ქაღალდის ნაგლეჯი მიაჩეჩა ხელში. მერე სამორიგეოდან ორივენი გავიდნენ და გიგა მარტო დატოვეს.

გიგა მიღიციელენ გაიკარა

მილიციის სამორიგეოში ისევ ის ულვაშა მილიციელი შემოვდა, ღიმილით გააქცია თავი და მეორე მილიციელს გადაულაპარაკა:

— უცურეთ, კაცო, რა საკირეველი ბიჭი ყოფილა, აქედანაც გაბარულა. ნიკო, აბა, პე, მისამართი მანდა გაქვს და როგორც გითხარი, ისე მიიქცეცა.

ამ დროს კი გიგა ისევ ქუჩაში მიცუხუხებდა, უქუდო, უპალტოო მიაბორტებდა. გამვლელ-გამომვლელნი ამჯერადაც გაკვირვებით უყურებდნენ, მაგრამ ალარ აჩერებდნენ, ილიმებოდნენ. ტაქსის შოთოები მანქანიდან თავებს ჰყოფდნენ, სიჩქარეს უკლებდნენ და ისინიც იღიმებოდნენ. გადაჭრა ერთი ქუჩა გიგამ, გადაჭრა მეორე და, აპა, მიაღწიო თავის საზღვანოში აგრე დდი გასტრონომი რომ არის, იმის თავზე პირველ სადარბაზოში, მეორე სართულზე ცხოვრობს გიგა. აი, სადაცაა სადარბაზოში უნდა შევიდეს, რომ ამ დროს მილიციელი გამოყენიმა წინ.

— მოქალაქევ, სად ცხოვრობთ? — ეკითხება და თან ღიმილს ვერ იკვებეს.

— ამ საზღვანი, ძია. — თითოთ ანიშნებს გიგა.

— კარგი, რაკი ასეთი საზრიანი ბიჭი ყოფილხარ, გააცტება მამიდასაგან და მილიციიდან გამოპარვას. შენ ისეთი ყოჩაღი ხარ, უსათუოდ მილიციელი გამოხვალ!

გიგა კი ადის კიბეებზე და ფიქრობს: «მილიციელები სულ ერთმანეთს ჰგვანან. ყველას ლამაზი ქუდი ახურავსა».





იაკობ გოგავაშვილი

ცოტნე დელიანი

მე-13 საუკუნეში საქართველოს მთხოვანები შემოჰიზენენ. მათ მთხელს მეფის ხა-
ქართველობი და თვითონ მითითის მეფის უფლებანი. მეტად ავიწროებდნენ ხალხს,
დად ხარჯს ართმევდნენ, მოხურ მორჩილე-
ბას მოითხოვდნენ, ქვევანას შევლა უწდოდა,
მაგრამ შევლა ძალიან მეული იყო, რადგა-
ნაც მტრის მეტისმეტად დიდი ძალა ჰქონდა.

აღმოსავალეთ და დახურვალეთ საქართველოს
საქართველოს მამული მეტი მომავალი მარ-

ცისის ასლოს და მეუდენებ ბჭობას, თუ რა
გზით ემველეთ ქვევნისთვის.

დადგინძს — აეჯანებინათ ხალხი, შეეპ-
რიბათ დიდი კარი და გაელაშქრათ მონ-
ღლების წინააღმდეგ. ცოტნე დადიანი მა-
ძინებს წავიდა სამეგრელომი ხალხის ასა-
ჯანებლდა, სხვები კი ერთი დღით კიდევ
დარჩნენ იქნა. სწორედ ამ დროს მოყლოდ-
ნებად მოვიდა მთხოვანთა რაზმი, შეიძერ-
იქ მეოუდ ქართველები და ტემპი წაიუგანა.



ნაზარი ზერაბ უორჩემისა

ოთცა ტევები მიიღებნეს მონდოლთა
მბრძანებელთან, მან ბრძანა: — დაატიტელეთ
ექველანი, თოვებით შეუბრით მელაშები, წაუხ-
ჭით ტანებე თაფლი და დასჭით ჰაპანაქება
მზეზე; დაუ, იხრავებოდნენ მზისაგან და იტან-
ჯებოდნენ ბუზებისაგან.

გაიგო თუ არა ეს უბედურება ცოტნე
დადანძას, მძინავ გასწია მონდოლთა მბრძა-
ნებლის ბინისაკენ. მან გაიარა მესწეთი, ანუ
ასლანდელი ახალციხის მხარე, შემდეგ ჯა-

ჭახეთი, ჩავიდა სომხეთს და შევიდა სომხეთის და დედაქალაქ ანისში. ერთ დღი მოვდინხე
დაინხსა ქართველი ტეჲები, რომლებიც გა-
ტიტელებული, მკლავებშეცული ინდანენ
მზის გულზე და იტანჯებოდნენ ბუზებისა-
გან. სამინელმა წუხილმა შეიპურო ცორქეს
გმირული გული, როცა ამისთანა დაბამცი-
რებულ მდგომარეობაში ნახა წარჩინებული
ქართველები. მაგრამ ამასთან ნუკიმიც იყრმ-
ნო, რადგნაც დაინხსა, თუ რა დირჩეული
ვაჟებულობით იტანძნენ ამ სათავილო სას-
ჯელს გმირი მამულიშვილები.

ცოტნე გადმოსტრა ცხენიდან, მივიდა თა-
ვის შეგაბრებთან და მუჟრალედ მიუსალმა;
მაძინევ გაიხადა ტანისამოსი, გატიტელდებ,
თვითონევ შეირთო თოვეთ შეკლავები და ჩაჯ-
და თავის მეგობრებს შორის დაღონებული.
დიდად ანუკემ წამებულნი ამსახურის ასეთ-
მა ერთგულებაბ და სულურტებულობა.

როცა ეს ამბავი მოასხენეს მონდოლთა
მბრძანებელს, იგი მეტად გათცდა. დაჭეით-
ხეს ცოტნეს მიზეზი ასეთი საოცარი საქ-
ციელისა. ცოტნემ უბასუსა:

— ჩემი ამსახუები უდანაშაულო არიან.
უდანაშაულოთა დასჯა თუ შეიძლება, მეც
მათთან ერთად დაშვაჯეთო.

ამ სამაგალითო თაფლდებამ დააჯერა
მონდოლთა მბრძანებელი, რომ ქართველები
მართალი იუნენ და ბრძანა:

— რადგან ქართველები იძენენდ სათოთ
და კეთილი ეფუძნებარო, იძენად ერთგუ-
ლი ერთმანეთისა, რომ ქართველი სამეცნე-
ლოდან მოვიდა ეს დიდებული გაცი, რათა
თავი გასწიროს მეგობრებისათვის, ამიტომ
გენდობით თქვენ და გათავისუფლებოთ.

ასე ისნა სახელოვანმა მამულიშვილმა
ცოტნე დადიანმა რჩეული ქართველები სა-
მინელი წამებისაგან.

କବିତା ପାଇଁ ପାଇଁ

ଏହିମାତ୍ର କବିତାଙ୍କ ପାଇଁ
ଗ୍ରେନାମି କେମିଯାପିସ ମେଲାର୍ଯ୍ୟ ଦୋଷକ
ବାଜ ଗାଥିବାବାବୀ?
ଏହି ହରତୀ କେ ଶରୀରାଲ୍ପରେ ମେଲାନ୍ତା.
ମାଧ୍ୟରାଥ ବିଜ୍ଞାପ୍ତୀ—ତାର ନାଦିଜ୍ଞାପ୍ତୀ,
ଫଳଦୀ କୁଳ ଗ୍ରେନାମି,
ଦାଲାବେଶ୍ବର ଶରୀରି,
ଶ୍ରେଣୀ ଲିଲାର୍ଯ୍ୟରେ ତାତାରା ନେରାଗୀ.
ମାନାରବେଶିନୀଙ୍କ ଚାମିଶି ଶ୍ରେଣୀ
ବାରିଶ୍ରେଣୀଟ ଗ୍ରେନାମି,
ଶ୍ରେଣୀଟ ନେରାଗୀ ଗାଥିବାବୀ
କେ କାହାକୁଣ୍ଡାପ କାହାଦାଶୀ କେଲାଇ!



ଶ୍ରେଣୀ ଏମ୍. କର୍ମଚାରୀ

ପାଇଁପାଇଁ ପାଇଁ

ଦୁଃଖିଲ କାହାରୀ

ମିଳିନାର୍ଦ୍ଦେଶୀ ଗାଲାର୍ଯ୍ୟଶ୍ଵର୍ଣ୍ଣନ
ଫିରାକ୍ଷିତ ଲା ଶୁରୀମର୍ଯ୍ୟଲିତ...
ମିଳିଗାଫୁନ୍ଦେଶୀ କାରାଗାନୀ,
ଅମାଧ୍ୟ ଲା ମନୋରତ୍ନି.

ଫିରିନ୍ଦୁର୍ଦ୍ଦେଶୀ,
ଶିର୍ଷେର୍ଦ୍ଦେଶୀ,
ବିନ ତୈରା, ତିନିକେ ବିନିର୍ଦ୍ଦେଶୀତ...
ଫେରା ନେବର୍ଦ୍ଦେଶୀ କରୁନ୍ତେ ତୁମ ଲା,
କୁରୁକୁରୁର୍ଦ୍ଦେଶୀ—ଫିରିଲ୍ଲେବି.

ବାରିଶ୍ରେଣୀ ଅନ୍ତର ନିରବିନିର୍ଦ୍ଦେଶୀ



ა ზ ც

ხარი ზოდევაში

ნაბატი გორგაში სოინიშვილისა

მზემ, ოქროს მაყრატედი მოიმარჯვა და ლრუბ-
ლები სურ ნაკუწ-ნაკუწად აქცია. არც ყინვა და
ქარი ღანდო, იმათაც შევი დღე ღაყენა. მერე
მიწას დახედა და არ მოწონა:

— ჩასა ჰგავს აქაურიბა! დაუწყო ძებნა ყვავილებს, ფოთლებს, ბაღა-
ხებს, ჩიტებს.

— სად არიან? მზე სხვებით მიწაში ჩაძრა, ჯერ ენძელები
ამოაძგრინა, მერე სხვა ყვავილები მოაყვალა და,
ბაზარც ამოაბიბინა, ხეებს ღალატია სხივებით,
კვირტები ამოიბურცნენ.

— ჯერ აღრეა, ჯერ აღრეა, უცბად არ გახვი-
დეთ გარეთ, ნიავება არ ღაგრათ! — აფრთხილებ-
რენ კვირტებს ხეები.

ვინ ღაუჯერა ღეღას. — ბუჟ!

იუფორქს კვირტებმა და ფოთლებად იქცნენ,
ყვავილებად იქცნენ.

— ასე მომწონს! — გაიცინა მზემ, — ჩას
იმაღებოდით, რომ იმაღებოდით?

— ჩვენ ზამთარს ვემაღებოდით, მაგრამ შენ
თვითონ ჩას გვემაღებოდი! — გაუჯავრდა მიწა
მშეს.

მზემ გადაიხარაჩა: — არც მე გიმაღებოდი, ამღენი ხანი ზამთარს
ვებრძოდი თქვენი გულისათვის!

მზემ ასწირა თვე და ამწვანებულ მიღამოს
თვალი ამაყად მოავრო.

სცენარიუსი შემახატა

ირალიშვილი

ოდესაც პალერმოში ერთი ტრაბახა ბატონი-შვილი ცხენერობდა. ეს ბატონიშვილი სულ იმის ბაქებუქში იყო, მთელ ქვეყანას ჩემს დუღუშე ვაცემებოდა. მართლაც და საოცარი ამბები ხდებოდა მის სახლებში:

ცხენ ხორცის ჭავა ასწავლა, ძალი თვას ცოხნიდა, ვირი დარჩაზე უბარტუნებდა ჩლიქებს და დავლურს უფლიდა.

ბატონიშვილი დიდად ამაყობდა თავისი სწავლული კატიო.

ფაშვაშა თავსაბურუბითა და შავი მოსახხამებით მორთულმა ათმა მეცნიერმა ათი წელი შესწირა იმას, რომ ბატონიშვილი უკოლად განსწავლული უფლილიყო. თავად კი ათჯერ მეტი ჯაფა გასწიო, ვიდრე ათმა მეცნიერმა იმ ათ წელიწადში, რათა კადას კატობისა აღარა სწერობოდა რა და გონიერ არსებად ექცია. როცა საწადელს მიაღწია, მეგობრებს უხმი:

— ხელ ვახშამზე მეწევით და ნახავთ, რომ დედამიწის ზურგზე არაფერია შეუძლებელი, თუ კაცი მოინდომებს. ამას ჩემი სწავლული კატა დაგიმტკიცებოთ.



ველაველის მარტონის გამოსახულებები

ნახატი თემიზ სამსრიძის

მეგობრები დათანხმდნენ. ერთმა მათგანმა, უკი-
ლაშე კეციანმა, გაიფიქრა: ჩახან საქმე კატაზეა,
ურიგო არ იქნება, თან ერთი თავიც გავიყო-
ლიოთო. და, ასეც მოაქცა.

მეორე დღეს კვებლამ თავი მოიყარა სახახლის
უზარმაშორ დარბაზში. დიდიბული სუსრა იყო
გაშლილი. მაგიდის შუაგულში ქანდაკივით და-
უწნედული სწავლული კატა და თავებში ანთე-
ბული კელაპტარი ეყავა.

როგორც კი სტუმრები მაგიდას მიუსხენენ,
მსახურებმა მაშინც იშეს ს იქნოს სინერგიები და-
ლაგებული ათავგარი ნანაღირევისა და ნაირ-
ნირი თევზეულის შემოთანა.

ისეთი სურნელი დადგა, რომ წევეულებს ნერ-
წუებით აევსოთ პირი.

კატ?

კატას წარბიც არ შეუხრია, თვალიც არ დაუ-
ხამსამებია, ბალნიც არ შეტოკებია: კელაპტარ-
მომარჯვებული კელაც ქანდაკივით უძრავად
იჯდა ცემბირთხმული.

ბატონიშვილმა მედიდურად გადახედა სტუმ-
რებს.

— ჩას გვუბნებოდით, ბატონებო, აბა, ერთი
შეხედეთ! განა ყოვლის შემძლე არა ვარ!

— უდავოდ, უდავოდ!

— რა თქმა უნდა!

— ნამდვილად! — იყვირეს ალფრონვანებულმა
სტუმრებმა.

ერთი მათგანი დუმდა მხოლოდ. მან გვერდით
ფარგლების ფრთხებით შემცული ფართოვანტ-
ლიანი ქუდა მოიდო და შიგ თავი შეუშვა. თავგმი
იყდნინ თუ არა თავისუფლად თავი, ქუ-
დიდან ცხვირი გამოიჲო და ულავშები ააცმა-
ცუნა.

ბატონიშვილმა რაც ჭავა გასწია კატის გასა-
წერონელად — ეს გახსოვთ ალბათ! ჰოდა, კატაშ
ცელაფერი ერთბაზად გადაუარი წყალში:

კელაპტარი გვერდზე მოისროლა, ისკუპა, მი-
ლეწმოლება ჭურჭელი, სტაცა პირი თავგვს და,
კუდაპრესილ გარეთ გაშპა.

ბატონიშვილს ნაცარში ჩაუცარდა კოზი: ერთ
კატას ვერაფერი მოუხერხსა და აბა, მის ყოვლის-
შემძლეობას ვინ დაიჯერებდა!

გადმიოქარულა ედიშერ გიორგემამ



შაქარყინული

ცეკვოზ ნოსოვი

ნახატები ე. ამორამისა

დედა წასასელელად მოეშაბდა:

— მიშეა, აბა, შენ იყო, მე მივღივარ და წესიერად იყავი. არ იცელქო, ხელი არაფერს ახლო. თუ ყველაფერს შემსრულებ, სამაგიეროდ დიდ, წითელ შექარყინულს მოგცმ,—დაუბარა მიშეა.

დედა წავიდა. მიშეა ჯერ მართლა კევანად იყო: არც უცელქია და არც არაფერისთვის უხლია ხელი. მერე კი, მხოლოდ სკამი მიდგა ჭურჭლის კარადასთან, ზედ აძვრა და კარი გამოაღო. შეიჭუროთა კარადაში,— ხელს არაფერს ვახლებ, მხოლოდ შევეხდავო.

კარადაში საშაქრე იღო. მიშეამ აღო საშაქრე და მაგიდაზე გადმოდგა. მოდი, ერთი, ვნახავ, ხელს კი არ ვახლებო,— გაიფრქვა ისევ.

საშაქრეს თავსახური ახადა და რას ხელავს, შექრის ზემოლინ რაღაც წითლად ანათებს.

— ეხე, — თქვა მიშეამ, — შაქარყინული! აღნათ სწორედ ის შაქარყინულია, დედა რომ შემპირდა. — ჩაჰყო ხელი საშაქრეში და შაქარყინული ამოაძრინა.

— ვაი, რამოდენაა, — ჩაილაპარაკა, — რა ტქბილი იქნება!

მიშეამ აღოვა შაქარყინული და გაიფრქა:

მოდი, ცოტას მოვწუნი და ისევ შეკინასვო, — მოწუნილა მიშეა შაქარყინულს, თან დაცემრდებოლა, მოაკლდა თუ არაო. ვერც კი შეამნია, როგორ დაილია შაქარყინული და ასანთის ღერს დაემსგავსა. მაშინ კი იყადრა და უკან ჩააბრუნა საშაქრეში. მერე თითები გაიღოვა და შაქარყინულს დააცემდა: მოდი სულ შევქამ. სულ ერთია, დედა მაინც შავ დღეს დამაყრისო

მიშეამ ისევ ამოიღო შაქარყინული, პირში ჩაიღო და ის იყო, საშაქრე თავის



აღგილზე უნდა დაედგა, რომ თითოებზე
მიყერა და ჭაბ! — იატაკზე მოადინა ჭაბა-
ნი, საშაქრე შუაზე გადაიხსნა, შაქარი კი
დაიბნა.

„ვაიმე, დედა რას იტყვის!“ — შეეშინ-
და მიშვას.

მიშვამ ნატეხები აიღო, ერთმანეთს
მიაკორწია და საშაქრეც გამოელდა. მე-
რე შაქარი ჩაყარო და სულაც არ ემჩნო-
და, რომ გატეხილი იყო.

თავსახურიც დაახურა და ფრთხილად
შედგა კარადაში.

სალამის დედაც მოვიდა.

— წესიერად იყავი?

— წესიერად ვიყავი.

— ყოჩად! სამაგიეროდ ახლა შაქარ-
ყინულს მიიღებ.

დედამ კარადა გამოაღო, საშაქრე აიღო
და... ვაი, ამ აღგბას! საშაქრე დაიშალა.
შაქარი დაბნა...

— ეს რა არის? ვინ გატეხა საშაქრე?

— მე არ გამიტეხია, თვითონ გატყდა...


— ჰო, გასაგებია! შაქარყინული სად-
ღა?

— შაქარყინული... შაქარყინული... შე-
ვტამე. წესიერად ვიქცეოდი და იმიტომ
შევტამე. მორჩა და გათავდა.

თარგმნა ღირეონ ვაღამშორისი



რთული



სიტყვები ჯანსელ ჩარქვისა

მესიგა ლილი გავერხუაშვილისა

ლალები, ლალები,
დიღლი-დალალები,
ჩემო ლამაზო ქვეყანავ,
შენ კი გენაცვალები!

ლალები, ლალები,
დიღლი-დალალები,
მზეო, შენი დალალები,—
მთებზე ურია, ლალები.



მონალისი

ნორა შავარძე

- ბიჭო, სად იყავ, კახაბერ,
შენი თოფით და ხანჯლითა?
- ეჲ, სანადიროდ ვიყავი,
გადვინადირე ასი მთა.
- ნანადირევი რა უყავ,
ცოტა ჩვენც გვარგო იქნება,
ალბათ ქურციკი მოკალი,
ანდა ხარ-ჯიხვი დიდრქება.
- სად არ ვიყავი, სად არა,
მთელი დღე ნადირს ვეძებდი,
ქურციკიც შემხვდა, ხარ-ჯიხვიც,
ვერ გავიმეტე ვერც ერთი.

ნახარები თენის სამსრუსისა

მთავარი რედაქტორი შეზრანგ შაჟაპარანი

სარგებლები კოლეგია: გრძელი მომავალი, ლილია რისა, ჯგუფი დაილა, უზარა ლომიკი, ვაშვალა
მარილივალი, ლისა გამირილის (გვე მდგვარი), შელვა შეაბამი (სამ. რდევერი), 3030 მარავა
საკუთარ დესა და ა. ლუნანის სახელმძღვანის ნარჩ პორტრეტით მოგვიჩეული სტატია უკრინელი.
კავშირ ნახტი ცატი მუნაკამისა
გვითაცება 44-ე წლით. ტერიტორია 8. რომ 05033020
მისამართი რედაქციის, გამოცემობის, საქამიანობის ურთისი, 14, ტელ.: მო. რდევერი — 93-41-30, 93-98-15;
ქვე. მორისი — 93-10-32, 93-98-17; სამ. რდევერი — 93-98-18; განკუთ. 93-98-19; ხამდონია — 93-98-16;
ქვე. მორისი — 93-10-32, 93-98-17; სამ. რდევერი — 93-98-18; განკუთ. 93-98-19; ხამდონია — 93-98-16;

გადატე ასაწყისად 21/XII-70 წ., ხელმიწერილია დასხვერდება 28/1-71 წ., ჭადალის ზომა 60×90^{1/4}.
ფო. ნო. ლური 2.5, ტრაგ 150.500. უკ. № 3914. „Дила“ № 3, на грузинском языке. ფაზ 20 კავ.




სამოქმედოა
Издательство
ЦК КП Грузии



„სა მ ე რ ე ბ ა „—ნახატი ნანა ბორნაულისა, 7 წ. თბილისი.



„სა ს ე რ ე ბ ა „—ნახატი ნინო ჩხაძესა, 5 წ. თბილისი.



„სა თ დ ი დ ა ნ ე „—ნახატი ბესი გელეგანიშვილისა, 7 წ. თბილისი.



„ქ ა რ უ ს ე ლ ი „—ნახატი ნანა ბორნაულისა, 5 წ. თბილისი.



„ქ უ რ ი „— ნახატი საიდა კაპანაძესა, 6 წ. ტყვარჩელი.